

პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის სერტიფიკატის შევსების გზამკვლევი

დანართის მიზანი

დანართი წარმოადგენს სერტიფიკატის დანამატ დოკუმენტს. ის არ არის სერტიფიკატის შემცველი დოკუმენტი, თუმცა მასში დეტალურად არის აღწერილი პროფესიული განათლების სერტიფიკატის მფლობელი პირის მიერ გამომუშავებული უნარები და კომპეტენციები.

დანართი ივსება სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი იურიდიული პირის მიერ და მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კვალიფიკაციის მფლობელის შესახებ საიდენტიფიკაციო ინფორმაცია
- კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია
- ინფორმაცია კვალიფიკაციის დონის შესახებ
- ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე
- დამატებითი ინფორმაცია
- დანართის დამოწმება

შენიშვნა:

- დანართი არ წარმოადგენს კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს;
- დანართი არ არის ავტომატური სისტემა, რომელიც აღიარების გარანტს იძლევა.

დანართის შევსების განმარტებები

1.1 კვალიფიკაციის მფლობელის შესახებ საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

1.1.1 გვარ(ებ)ი:

მიეთითება კურსდამთავრებულის გვარ(ებ)ი პირადობის მოწმობის მიხედვით

1.1.2 სახელ(ებ)ი:

მიეთითება კურსდამთავრებულის სახელ(ებ)ი პირადობის მოწმობის მიხედვით

1.1.3 დაბადების თარიღი: (დღე/თვე/წელი):

მიეთითება კურსდამთავრებულის დაბადების თარიღი პირადობის მოწმობის მიხედვით

შემდეგი ფორმატით დღე/თვე/წელი (მაგალითად: 05/12/2019)

1.1.4 პირის საიდენტიფიკაციო ნომერი ან კოდი (არსებობის შემთხვევაში):

მიეთითება კურსდამთავრებულის პირადი ნომერი (თერთმეტნიშნა) პირადობის მოწმობის მიხედვით (მაგალითად: პ/ნ 12345678910)

ან სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) ბაზის მიერ მინიჭებული სერტიფიკატის სარეგისტრაციო შვიდნიშნა ნომერი (კოდი) (მაგალითად:1234567)

1.2 კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

1.2.1 კვალიფიკაციის განმსაზღვრელი სწავლის სფერო(ები) (პროგრამის სახელწოდება):

მიეთითება კვალიფიკაციის განმსაზღვრელი სწავლის ვიწრო სფერო(ებ)ის კოდი და დასახელება (მაგალითად: 041- ბიზნესი და ადმინისტრირება)

მიეთითება პროგრამის სახელწოდება პროგრამის სახესთან ერთად (მაგალითად: პროფესიული მომზადების პროგრამა - საწყობის ლოგისტიკა; პროფესიული გადამზადების პროგრამა - საწყობის ლოგისტიკა)

1.2.2 კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დაწესებულების დასახელება და სტატუსი:

მიეთითება ორგანიზაციის ზუსტი დასახელება (სახელწოდება, რომლითაც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში და რა სახელითაც მიიღო ორგანიზაციამ პროგრამის განხორციელების უფლება და არა ორგანიზაციის ბრენდული სახელწოდება, რომელიც უმეტესწილად არ ედრება ორგანიზაციის ოფიციალურ სამართლებრივ დასახელებას), რომელიც ასევე მოიცავს სამართლებრივ ფორმას/სტატუსს (შპს, სსიპ, ა(ა)იპ და ა.შ) (მაგალითად: სსიპ - კოლეჯი „ნიუ ვეი“; შპს „აკადემია +“)

1.2.3 იმ იურიდიული პირის (სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების შემთხვევაში) დასახელება და სტატუსი, რომელშიც განხორციელდა სწავლების პროცესი:

მიეთითება პროგრამის განხორციელებაში ჩართული (სადაც ისწავლება / მიიღწევა სწავლის შედეგების ნაწილი) პარტნიორი ორგანიზაციის დასახელება (სახელწოდება, რომლითაც

რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, არა ორგანიზაციის ბრენდული სახელწოდება, რომელიც უმეტესწილად არ ედრება ორგანიზაციის ოფიციალურ სამართლებრივ დასახელებას), რომელიც ასევე მოიცავს სამართლებრივ ფორმას/სტატუსს (შპს, სსიპ, ა(ა)იპ და ა.შ) (მაგალითად: სსიპ - კოლეჯი „ნიუ ვეი“; შპს „აკადემია +“).

იმ შემთხვევაში თუ ასეთ რამდენიმე პარტნიორთან თანამშრომლობს ორგანიზაცია და მსმენელები გადანაწილებული არიან ამ პარტნიორ ორგანიზაციებში, მაშინ ამ ველში მიეთითება იმ პარტნიორი ორგანიზაცი(ებ)ის დასახელება, სადაც კონკრეტულად მსმენელმა გაიარა სასწავლო პროცესი (იმ პირმა, ვისი სერტიფიკატის დანართიც ივსება).

1.2.4. სწავლების ენა (ენები):

მიეთითება პროგრამის განხორციელების ენა, რომელიც მიითითებულია პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს შესაბამის გადაწყვეტილებაში ან სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის შესაბამის ბრძანებაში პროგრამის დადასტურების შესახებ. (მაგალითად: ქართული; ინგლისური)

1.3 ინფორმაცია კვალიფიკაციის დონის შესახებ

1.3.1 კვალიფიკაციის დონე:

მიეთითება დონე, რომელიც მიითითებულია პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს შესაბამის გადაწყვეტილებაში ან სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის შესაბამის ბრძანებაში პროგრამის დადასტურების შესახებ. (მაგალითად: მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე)

1.3.2 პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა (საათებში):

მიეთითება პროგრამით განსაზღვრული სრული, ჯამური ხანგრძლივობა საათებში. (მაგალითად:140 საათი)

1.3.3 დაშვების წინაპირობა:

მიეთითება პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობა (მაგალითად: საბაზო განათლება; სამუშაო გამოცდილება სამშენებლო სფეროში - 1 წელი; მინიმალური ასაკი-18 წელი; სამედიცინო ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და ა.შ.)

1.4. ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

1.4.1. სწავლების ფორმა:

ყოველთვის მიეთითება - სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმა.

1.4.2 პროგრამის დეტალები: (მაგ. შესწავლილი მოდულები და ერთეულები) და მიღებული ინდივიდუალური ნიშნები/ შეფასებები/ კრედიტები: (თუ არსებობს, უნდა დაერთოს ოფიციალური ნიშნების ფურცელი (ტრანსკრიპტი)):

მიეთითება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ჩამონათვალი

(მაგალითად:

- 1.საინჟინრო კომპონენტების ხაზვა;
- 2.სამუშაო გარემოში საფრთხეების აღწერა;
- 3.რისკების შეფასება და შემთხვევით და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების განმარტება;
- 4.მუდმივი დენის წრედის პარამეტრების გაზომვა;
- 5.ტევადობის და გამტარობის საფუძვლების პარამეტრების გამოთვლა;
- 6.ცვლადი დენის პარამეტრების გამოთვლა;
- 7.ელექტრული სქემის მიხედვით მასალების შერჩევა;
- 8.ელექტრული წრედებში, დაცვის მეთოდების და პროცედურების გამოყენება;
- 9.განათების და ძალოვანი წრედების მონტაჟი და შემოწმება საყოფაცხოვრებო და საწარმოო გარემოში;
- 10.ელექტროენერჯის წარმოშობის მეთოდების აღწერა.)

1.4.3 შეფასების სისტემა და, თუ შესაძლებელია, შეფასების განაწილების ინსტრუქცია

მიეთითება ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ დადგენილი რეგულაციის მიხედვით არსებული შეფასების სისტემის თაობაზე.

(მაგალითად: „პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიდგომით. არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე

დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს

შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- სწავლის შედეგი დადასტურდა;
- სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისა უარყოფითი შედეგების მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.”)

1.5 დამატებითი ინფორმაცია

1.5.1 დამატებითი ინფორმაცია:

აღნიშნული ველის შევსება არაა სავალდებულო, თუმცა, შეიძლება ჩაიწეროს ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია; შესაძლებელია გადმოტანილ იქნეს პროგრამის აღწერილობითი ნაწილი (სრულად ან ნაწილობრივ); შესაძლებელია მიეთითოს განსხვავებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რაც არ ივსება დანართის სხვა ველებში და საინტერესო / საჭირო იქნება დამსაქმებლისთვის, სურვილის შემთხვევაში, დაწესებულებას შეუძლია მიუთითოს ორგანიზაციის ბრენდული დასახელება (მაგალითად: შპს „მობიტელი“ - ბრენდული სახელით „ბილაინი“)

1.6 დანართის დამოწმება

1.6.1 თარიღი:

მიეთითება დანართის შედგენის თარიღი, ეს თარიღი ემთხვევა სერტიფიკატზე მითითებულ თარიღს. (მაგალითად:12/12/2020)

1.6.2 ხელმოწერა/ხელმოწერები:

მიეთითება სერტიფიკატზე ხელმომწერი პირის (დირექტორი/ რექტორი/ სხვა) სახელი და გვარი სრულად და ჩანაწერის გასწვრივ ხდება ხელმოწერა.

1.6.3 თანამდებობა:

მიეთითება ორგანიზაციის დასახელება და პირის პოზიცია, ვისაც აქვს უფლებამოსილება და აწერს ხელს 1.6.2 პუნქტში. (მაგალითად: სსიპ - კოლეჯი “ნიუ ვეის“ დირექტორი)

1.6.4 ოფიციალური შტამპი ან ბეჭედი (კერძო სამართლის იურიდიული პირის/კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით არსებული შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში – ნებაყოფლობით):

ამ ველში დაისმება ოფიციალური შტამპი ან ბეჭედი (კერძო სამართლის იურიდიული პირის/კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით არსებული შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში – ნებაყოფლობით)

შენიშვნა: დანართის მეორე ნაწილის - „2. სერტიფიკატის დანართის რეკვიზიტები ინგლისურ ენაზე.“ შევსება სავალდებულოა და სისწორეზე პასუხისმგებელია კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დაწესებულება


ნიმუში

პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის

სერტიფიკატის (ABC № 000001) დანართი

1. სერტიფიკატის დანართის რეკვიზიტები ქართულ ენაზე:

1.1.	კვალიფიკაციის მფლობელის შესახებ საიდენტიფიკაციო ინფორმაცია	
1.1.1	გვარ(ებ)ი:	სმიტი
1.1.2	სახელ(ებ)ი:	ადამ
1.1.3	დაბადების თარიღი: (დღე/თვე/წელი):	06/09/2019
1.1.4	პირის საიდენტიფიკაციო ნომერი ან კოდი (არსებობის შემთხვევაში):	3/ნ 12345678910 ან 1234567
1.2.	კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია	
1.2.1	კვალიფიკაციის განმსაზღვრელი სწავლის სფერო(ები) (პროგრამის სახელწოდება):	041- ბიზნესი და ადმინისტრირება; პროფესიული მომზადების პროგრამა - საწყობის ლოგისტიკა
1.2.2	კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დაწესებულების დასახელება და სტატუსი:	სსიპ - კოლეჯი „ნიუ ვეი“
1.2.3	იმ იურიდიული პირის (სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების შემთხვევაში) დასახელება და სტატუსი, რომელშიც განხორციელდა სწავლების პროცესი:	შპს „ჯეო ბილდერი“
1.2.4	სწავლების ენა (ენები):	ქართული
1.3.	ინფორმაცია კვალიფიკაციის დონის შესახებ	
1.3.1	კვალიფიკაციის დონე:	მესამე
1.3.2	პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა (საათებში):	140 საათი
1.3.3	დაშვების წინაპირობა:	საბაზო განათლება
1.4.	ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე	
1.4.1	სწავლების ფორმა:	სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმა
1.4.2	პროგრამის დეტალები: (მაგ. შესწავლილი მოდულები და ერთეულები) და მიღებული ინდივიდუალური ნიშნები/ შეფასებები/ კრედიტები: (თუ არსებობს, უნდა დაერთოს ოფიციალური ნიშნების ფურცელი (ტრანსკრიპტი)):	1.საინჟინრო კომპონენტების ხაზვა; 2.სამუშაო გარემოში საფრთხეების აღწერა; 3.რისკების შეფასება და შემთხვევით და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების განმარტება; 4.მუდმივი დენის წრედის პარამეტრების გაზომვა; 5.ტევადობის და გამტარობის საფუძვლების პარამეტრების გამოთვლა; 6.ცვლადი დენის პარამეტრების გამოთვლა; 7.ელექტრული სქემის მიხედვით მასალების შერჩევა; 8.ელექტრული წრედებში, დაცვის მეთოდების და პროცედურების გამოყენება;

		9.განათების და ძალოვანი წრედების მონტაჟი და შემოწმება საყოფაცხოვრებო და საწარმოო გარემოში. 10.ელექტროენერჯის წარმოშობის მეთოდების აღწერა;
1.4.3	შეფასებების სისტემა და, თუ შესაძლებელია, შეფასებების განაწილების ინსტრუქცია:	პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიდგომით. არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: <ul style="list-style-type: none"> ➤ სწავლის შედეგი დადასტურდა; ➤ სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. განმსაზღვრელი შეფასებისა უარყოფითი შედეგების მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.
1.5.	დამატებითი ინფორმაცია	
1.5.1	დამატებითი ინფორმაცია:	
1.6.	დანართის დამოწმება	
1.6.1	თარიღი:	15/08/2020
1.6.2	ხელმოწერა/ხელმოწერები:	ეკატერინე გვარიძე 
1.6.3	თანამდებობა:	სსიპ - კოლეჯი“ ნიუ ვეის“ დირექტორი
1.6.4	ოფიციალური შტამპი ან ბეჭედი (კერძო სამართლის იურიდიული პირის/კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით არსებული შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში – ნებაყოფლობით):	

2. სერტიფიკატის დანართის რეკვიზიტები ინგლისურ ენაზე:

2.1.	INFORMATION IDENTIFYING THE HOLDER OF THE QUALIFICATION	
2.1.1	Family name(s):	
2.1.2	Given name(s):	

2.1.3	Date of birth (day/month/ year):	
2.1.4	Person identification number or code (if available):	
2.2.	INFORMATION IDENTIFYING THE QUALIFICATION	
2.2.1	Qualification Learning area (s) (name of the program):	
2.2.2	Name and status of awarding institution:	
2.2.3	The title and status of a legal entity (in case of a work based learning) in which the teaching process was implemented:	
2.2.4	Teaching Language(s):	
2.3.	INFORMATION ON THE LEVEL OF THE QUALIFICATION	
2.3.1	Level of qualification:	
2.3.2	Official length of program (in hours):	
2.3.3	Access requirements(s):	
2.4.	INFORMATION ON THE CONTENTS AND RESULTS GAINED	
2.4.1	Mode of study:	
2.4.2	Program details: (e.g. modules or units studied), and the individual grades/marks/credits obtained: (if this information is available on an official transcript this should be used here):	
2.4.3	Grading scheme and, if available, grade distribution guidance:	
2.5.	ADDITIONAL INFORMATION	
2.5.1	Additional information:	
2.6.	CERTIFICATION OF THE SUPPLEMENT	
2.6.1	Date:	
2.6.2	Signature (s):	
2.6.3	Position:	
2.6.4	Official stamp or seal (in case of legal entity - institution of private law – voluntarily):	